შ.პ.ს. “საინჟინრო ჯგუფი”

ვამტკიცებ

შ.პ.ს. “საინჟინრო ჯგუფი” დირექტორი

ბ.მათითაიშვილი



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2018 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პროექტის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები.

პროექტი დამუშავებულია შპს "ნს სტუდიო"-ის მიერ, დირექტორი ლ. ჩაგანავა, პროექტის მთ. არქიტიტექტორი ლ. ჩაგანავა, მთ. კონსტრუქტორი გ. შელია.

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი პროექტის არქიტექტურული ნაწილისა და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმედებებზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA SAPR 2013" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელი ნაგებობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა ღერძებში გაბარიტული ზომებით 62.0X46.0მ. შენობა გრძივი მიმართულებით 11 მალიანია, განივი მიმართულებით 7 მალიანი.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

შენობის საძირკვლების (ნაწილობრივ საძირკვლის ფილა, ნაწილობრივ ჯვარედინი ლენტურ-წერტილოვანი საძირკვლები) დაფუძნება ხდება ძირითად ქანებზე – ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, რომლის საანგარიშო მახასიათებლებია:

სიმკვრივე - 2,00 კგ/სმ^3

დეფორმაციის მოდული – 20 000 მპა

პუასონის კოეფიციენტი – 0.20

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ

მდგომარეობაში R_c=125 კგ/სმ^2

საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მომზადება კლასით B7.5 სისქით 10 სმ.

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში: მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები, გადახურვის ასაკრეფი ღრუტანიანი ფილები და დიაფრაგმები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი სისტემა, რაც უზრუნველყოფს შენობის მდგრადობას სეისმური და სხვა დატვირთვების მიმართ.

შენობას გააჩნია ორი მიწისქვეშა სართული, აქედან ნიშნულზე -6.70მ განთავსებულია სამედიცინო მომსახურების კაბინეტები, ნიშნულზე -3.10 სამედიცინო მომსახურების კაბინეტები და ნაწილობრივ ავტოსადგომები. მონოლითური რკინაბეტონის სარდაფის კედლები სისქით 30სმ, 50სმ. სხივური თერაპიის კაბინეტების კედლები სისქით 1.20მ, 1.40მ და 2.50მ. კედლების ბეტონის კლასი - B25.

სვეტები მონოლითური რკინაბეტონის, განივი კვეთებით 50X70სმ და 50X50სმ. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

რიგელები მონოლითური რკინაბეტონისა განივი კვეთით 50X60(h) და 40X50(h)სმ. რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

სართულშუა გადახურვები ანაკრეფი წინასწარ დაძაბული ღრუტანიანი ფილებით სისქით 20სმ (ფილების მუშა არმატურები K7 კლასის ბაგირებით), რომლებიც ყველა კოლონების ბადის კონტურზე ჩაკეტილია მონოლითური რიგელებითა და მონოლითური უბნებით.

კიბეები მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 18სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

პროექტის მიმართ შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შეთავაზებული იქნა ჩემს მიერ, სრულად გაზიარებულია ავტორის მიერ, რომელიც ასახულია მუშა დოკუმენტაციაში

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №5; ქ. თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №4, ჩაჩავას ქუჩა №1, ლუბლიანას ქუჩა №5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru